სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150673195
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.06.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**თამარ ბაქრაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591 701 115; 322 43 28 70;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	47824997251815

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდაექვს ივნისს მე, თამარ ბაქრაძეს, ნოტარიუს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დ/დიღომი, ი.პეტრიწის ქ. № 16, მომმართა მოქ. ზაზა კვირკველიამ მან წარმომიდგინა თანხმობა, და განაცხადა, რომ სურს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზაზა კვირკველიამ (დაბადებული 10.05.1970 წ. თბილისი, პირადი № 01007006669) მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მე ასევე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე ნოტარიუსმა თამარ ბაქრაძემ, განვუმარტე მას რომ პასუხს არ ვაგებ თანხმობის შინაარსის სამართლებლივ შედეგებზე და ვამოწმებ მხოლოდ მხარის ხელმოწერის ნამდვილობას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა – 4 (ოთხი) ლარი: (ორ ეგზემპლარზე ორი ხელმოწერისათვის) აგრეთვე 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა. თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა. და ასევე დ.ღ.გ. 0.72 (სამოცდათორმეტი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი /თამარ ბაქრაძე/

საქართველო, ნოტარიუსი თამარ ბაქრაძე GEORGIA NOTARY TAMAR BAKRADZE 01014002800 ნოტარიუს თამარ ბაქრაძე

თანხმობა

საავტორო უფლების გადაცემაზე

ქ.თბილისი 26.06.2015

მე, **ზაზა კვირკველია** (პ/ნ 01007006669), როგორც ქ.თბილისში ბელიაშვილის #40-ში მდებარე შენობის (საკადასტრო კოდი: 01.13.01.005.004) რეკონსტრუქციის პროექტის ავტორი, თანახმა ვარ აღნიშნული შენობის რეკონსტრუქციის-დაშენების პროექტი დამკვეთის მითითებით განახორციელოს **სანდრო ღოლოძემ** პირადი #01026007999 დაბადების თარიღი 15.07.1976წ. მისამართი ქ.თბილისი დოლიძის ქუჩა მე-17 კორპუსი ბინა 6.

ზაზა კვირკველია ზაზა კვირკველია

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

24.06.2015

ProCredit Bank, 21 Al. Kazbegi Ave., 0160 Tbilisi, Georgia
პროკრედიტ ბანკი, აღ. ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი

თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

76-სს "პროკრედიტ ბანკის" თბილისის ფილიალი №2
საკრედიტო განყოფილება
ავტორი : ნიკოლოზ ბურდული
ტელეფონი : +995 32 2202222
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : nikoloz.burduli@procreditbank.ge
თარიღი : 24/06/2015

გაცნობებთ, რომ სს "პროკრედიტ ბანკში" 2010 წლის 7 ივლისს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება N13.1.9464, რომლის საფუძველზე იპოთეკით დაიტვირთა შპს"რიო"_ს (ს/კ202056693) და სააქციო საზოგადოება"ქებული კლიმატი"_ს (ს/კ202283242) კუთვნილი უძრავი ქონება მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, შესახვევი აკაკი ბელიაშვილი, #4; საკადასტრო კოდი: N 01.13.01.005.004.
სს „პროკრედიტ ბანკი" თანახმაა იპოთეკის მოუხსნელად შპს"რიო"_ს (ს/კ202056693) და სს „ქებული კლიმატი"_ს (ს/კ 202283242) მიერ შესრულებული იქნას ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ.#40-ში მდებარე შენობის (საკადასტრო კოდი: 01.13.01.005.004) რეკონსტრუქცია-დაშენება.

პატივისცემით,

სს "პროკრედიტ ბანკი", საქართველო

ფილიალის მმართველის მოადგილე

დავით დემეტრაძე

საშუალო ბიზნესის კლიენტთა მრჩეველი

ნიკოლოზ ბურდული

21 Al. Kazbegi Ave.
0160 Tbilisi, Georgia
Tel. / ტელ: +995 (0) 32 2202222
JSC ProCredit Bank / ს.ს. პროკრედიტ ბანკი

Embassy of the United States of America

26 ივნისი, 2015

სსიპ თბილისის არქიტექტურის
სამსახურის უფროსს
ქ-ნ. ნ. ღოღობერიძეს

სს ქებული კლიმატის
დირექტორს ბ-ნ მ. თავაძეს

ქალბატონო ნინო, ბატონო მიხეილ,

გაცნობებთ, რომ აშშ-ს საელჩომ განიხილა და წინააღმდეგი არ არის სს "ქებილი კლიმატის" მიერ წარმოდგენილი არსებულ 8.300 მეტრის შენობაზე დაშენების პროექტისა, რომლის შესრულების შემდეგ შენობის საერთო სიმაღლი არ აღემატება 11.750 მეტრს. აღნიშნული პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. "არქიდიზაინ ჯგუფი"-ს, პროექტის ავტორის ა. ღოლოძის მიერ. არქიტექტურული პროექტის თანახმად, შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის შესახვევ №4-ში (ზონა 01, სექტორი 13, კვარტალი 01, ნაკვეთი 005/004).

პატივისცემით,

ჯეიმს ჰაინ
აშშ საელჩოს რეგიონალური
უსაფრთხოების სამსახურის უფროსი

შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა
Tel: (+995 32227704, E-mail: expertisecntr@gmail.com
Tamar Mefis gam 5a, Tbilisi, Georgia

24.06.2015 № 05-21
თქვ. №

ქ.თბილისში,ბელიაშვილის40-ში მდებარე ორსართულიანი(სარდაფით)სასაწყობო, საოფისე-სავაჭრო შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მასზედ ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობის დადგენის მიზნით

ქ. თბილისი

2015 წელი

ქ.თბილისში,ბელიაშვილის40-ში მდებარე ორსართულიანი(სარდაფით)სასაწყობო, საოფისე-სავაჭრო შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მასზედ ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობის დადგენის მიზნით

ქ. თბილისი

2015წელი

გამოკვლევის მიზანი, მეთოდიკა და ამოცანები

ქ.თბილისში,ბელიაშვილის40-ში მდებარე ორ სართულიანი(სარდაფით) სასაწყობო,საოფისე-სავაჭრო შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მასზედ ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობის დადგენის მიზნით.სს“ქებული კლიმატი“-ს მფლობელებს განზრახული აქვთ არსებულ შენობაზე ერთი სართულის დამატება. მათი მომართვის და დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დაისახა მიზანი:ქ.თბილისში,ბელიაშვილის40-ში მდებარე ორ სართულიანი(სარდაფით) სასაწყობო, საოფისე-სავაჭრო შენობის ტექნიკური მდგომარეობი სგამოკვლევა მასზედ ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობის დადგენის მიზნით- მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და მათი შემოწმება **СП-13-102-2003** - (შენობის და ნაგებობების, მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები) დოკუმენტის დაცვით.

შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის კონცეფციის თანახმად განისაზღვრა სამუშაოს მეთოდიკა და ამოცანები:

1. ადგილზე გასვლა და სიტუაციის გაცნობა;
2. შენობის შესახებ არსებული დოკუმენტაციის გაცნობა და ანალიზი;
3. ობიექტის მზიდი კონსტრუქციების (სვეტების, რიგელების, კედლების, ფილები) ვიზუალური გამოკვლევა;
4. სასაწყობო, საოფისე-სავაჭრო შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მასზედ ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობის დადგენის მიზნით

შენობის მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური-ტექნიკური გამოკვლევა

გამოკვლეული იქნა ქ.თბილისში,ბელიაშვილის40-ში მდებარე ორ სართულიანი (სარდაფით)სასაწყობო, საოფისე-სავაჭრო შენობის ტექნიკური მდგომარეობა მასზედ ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობის დადგენასთან დაკავშირებით.

ქ/თბილისი, ბელიაშვილის №40-ში სასაწყობა, სავაჭრო-საოფისე შენობის პროექტი დამუშავებულია შპს "თერმარსენალი"-ს მიერ საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით.

შენობის კონსტრუქციების ანგარიში განხორციელდა საანგარიშო პროგრამის "მონამახ X 4.2" გამოყენებით.

ქალაქის სეისმიური დარაიონების რუქის მიხედვით სამშენებლო მოედანი მიეკუთნება 8 ბალიან ზონას, ქარის ნორმატიული სიჩქარე - 32მ/წმ, თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50კგ/სმ2.

გეოლოგიური გამოკლევის დასკვნის თანახმად შენობის დაფუძნება განხორციელდება მსხვილნატეხოვანი კენჭნაროვან გრუნტზე, რომლის საანგარიშო

წინაღობა -=3.0კგ/კვ სმ.

საძირკვლედის ქვეშ მოეწყოს ბეტონის მომზადება (ბეტონი მარკით -15) სიმაღლით 10სმ. საძირკვლების მოწყობამდე ბეტონის მომზადებაზე მოეწყოს ჰორიზონტალური ჰიდროიზოლაცია.

ლენტური და წერტილოვანი საძირკვლები მოწყობისას გამოყენებულ იქნას ბეტონი კლასით -22.5, ბეტონის დამცავი შრე 35მმ.

სარდაფის ცოკოლის კედლები პროექტით გათვალისწინებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან, ბეტონყ კლასი -22.5, ბეტონის დამცავი შრე 15მმ. კედლების მოწყობის შემდეგ მოეწყოს ვერტიკალური ჰიდროიზოლაცია ცხელი ბითუმით ორჯერადი წასმით.

კონსტრუქციულად შენობა წარმოადგენს მონოლითურ ჩარჩოების.

მონოლითური სვეტები დაპროექტებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან, ბეტონი კლასით -22.5, ბეტონის დამცავი შრე 25მმ.
გამოყენებული მონოლითური რკინაბეტონის კოჭები გათვალისწინებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან, ბეტონი კლასით -22.5, ბეტონის დამცავი შრე 25მმ.
სართულშუა გადახურვის ფილები სისქით 180 დაპროექტებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან, ბეტონი კლასით-22.5, ბეტონის დამცავი შრე 15მმ.
გარე კედლების შევსება დაპროექტებულია მცირე ბეტონის ბლოკებით სიგანე 400მმ. კედლების დამაგრება შენობის კარკასზე განხორციელდეს არმატურის ბადეებით. ბადეების ბიჯი 600მმ. ის გარე კედლები რომლებიც მოწყობილია აივნების ფილაზე მოეწყოს პერლიტის ბლოკებისაგან კედელის სისქე 200მმ.
კონსტრუქციულ ნახაზებში ზომები მოცემულია მილიმეტრებში ნიშნულები მეტრებში. განსახილველი შენობა აშენებულია 2005-2012 წლების ბოლოს.
შენობის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევით დადგინდა, რომ მის მზიდ კონსტრუქციებს არ გააჩნიათ საყრდენების ჯდენით ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დაზიანებები რაც საფრთხე შეუქმნიდა მის მდგრადობას.

სს“ქებული კლიმატი“-ს მფლობელებს განზრახული აქვთ არსებულ შენობაზე ერთი სართულის დამატება-ტექნიკური თვალსაზრისით ეს შესაძლებელია. იგი უნდა განხორციელდეს სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნებს. პროექტი უნდა შესრულდეს სათანადო გაანგარიშების შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით. დაშენება უნდა შესრულდეს მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებით.არსებული კონსტრუქციების და საპროექტო კონსტრუქციების დაკავშირება უნდა შესრულდეს სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების შესაბამისად.

დასკვნა- რეკომენდაცია

ქ.თბილისში,ბელიაშვილის40-შიმდებარეორსართულიანი (სარდაფით) სასაწყობო, საოფისე-სავაჭროშენობის ტექნიკურიმდგომარეობა მასზედერთი სართულისდაშენების შესაძლებლობისდადგენასთან დაკავშირებით დადგინდა.

1. შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მათ არ გააჩნიათ საყრდენების ჯდენით ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დაზიანებები რაც საფრთხე შეუქმნიდა მის მდგრადობას.
2. შენობაზე ერთი სართულის დამატება-ტექნიკური თვალსაზრისით ეს შესაძლებელია. იგი უნდა განხორციელდეს სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნებს. პროექტი უნდა შესრულდეს სათანადო გაანგარიშების შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით. დაშენება უნდა შესრულდეს მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებით.არსებული კონსტრუქციების და საპროექტო კონსტრუქციების დაკავშირება უნდა შესრულდეს სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების შესაბამისად..

ვამტკიცებ შ.პ.ს. „შენობა-ნაგებობათა

კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი”-ს

დირექტორი „_____” რ.ცხვედაძე

„24” „06_____” 2014წ

დასკვნა

ქ.თბილისში,ბელიაშვილის40-ში მდებარე ორსართულიანი(სარდაფით)სასაწყობო, საოფისე-სავაჭრო შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მასზედ ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობის დადგენის მიზნით

შემსრულებელი:

პროფესორი დ.ჯანყარაშვილი

ქ. თბილისი

2015 წელი